პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

25 ნოემბერი კვირა 1973 წასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 275 (15792)

ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის გოლომდე რჩება **36 დღე**

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ, ᲒᲐᲓᲐᲛᲬᲧᲕᲔᲢᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲠᲩᲔᲑᲐ 36 ᲓᲦᲔ

წლიური გეგმა შეასრულეს

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). სამკერვალო საწარმოო გაერთიანება „ᲬᲘᲚᲝᲐᲗᲘᲡ“ კოლექტივმა ხუთწლედის პირველი სამი წლის დავალების შესრულება სამშობლოს 3 ნოემბრისათვის უპატაკა. ამ პერიოდში რეალიზებულია 32 მილიონი მანეთის პროდუქცია.

საწარმოს ძირეულ რგოლებში სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღებამ, მოწინავე გამოცდილების დანერგვამ, ტექნოლოგიური რეჟიმის განმტკიცებამ აამაღლა შრომის ნაყოფიერება, ხელი შეუწყო ყველა ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლის გაუმჯობესებას. აქ სხსტემატურად მცირდება პროდუქციის თვითღირებულება, იზრდება მოგება. საგმარისია აღინიშნოს, რომ მიმდინარე წლის ათ თვეში პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მიღებულია 96 ათასი მანეთი ეკონომია, ხოგგემთმა მოგებამ 450 ათას მანეთს გადააჭარბა, წინა წელთან შედარებით შრომის ნაყოფიერება 4,8 პროცენტით გაიზარდა, დაზოგილი 70 ათასი კვადრატული მეტრი ქსოვილით გამოშვებულია 30 ათასი ცალი მამაკაცისა და ბავშვის ზედა პერანგი.

წლიური გეგმა შეასრულეს

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). სამკერვალო საწარმოო გაერთიანება „ᲬᲘᲚᲝᲐᲗᲘᲡ“ კოლექტივმა ხუთწლედის პირველი სამი წლის დავალების შესრულება სამშობლოს 3 ნოემბრისათვის უპატაკა. ამ პერიოდში რეალიზებულია 32 მილიონი მანეთის პროდუქცია.

საწარმოს ძირეულ რგოლებში სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღებამ, მოწინავე გამოცდილების დანერგვამ, ტექნოლოგიური რეჟიმის განმტკიცებამ აამაღლა შრომის ნაყოფიერება, ხელი შეუწყო ყველა ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლის გაუმჯობესებას. აქ სხსტემატურად მცირდება პროდუქციის თვითღირებულება, იზრდება მოგება. საგმარისია აღინიშნოს, რომ მიმდინარე წლის ათ თვეში პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მიღებულია 96 ათასი მანეთი ეკონომია, ხოგგემთმა მოგებამ 450 ათას მანეთს გადააჭარბა, წინა წელთან შედარებით შრომის ნაყოფიერება 4,8 პროცენტით გაიზარდა, დაზოგილი 70 ათასი კვადრატული მეტრი ქსოვილით გამოშვებულია 30 ათასი ცალი მამაკაცისა და ბავშვის ზედა პერანგი.

მესამე, გადამწყვეტ წელს — დამკვრელური ფინიში!

სურათზე: საბჭოთა საქართველოს კომპლექსური ბრიგადა, რომელსაც შერაბ ბეტავაშვილი ხელმძღვანელობს და შრომაში საუკეთესო მიღწევები აქვს, სამუშაოდ მიდის.

ფ. პრიმსკის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მშენებლები დროს უსწრებენ

მთავარმბილმშენის საკუთარი მშენებლობის სამმართველო (უფროსი კ. ყურაშვილი) საწარმოო ობიექტებს ძირითადად თბილისში აშენებს, მშენებლებმა კარგად იციან, რომ თუ საექსპლოატაციოდ დროულად გადაეცემა საწარმოები, რომლებიც ხაშენ მასალებს უშვებენ, მნიშვნელოვნად დაჩქარდება დედაქალაქის ხაბანო მშენებლობა, წლის დასაწყისიდან მშენებლებმა ფართოდ გაჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება, გაბედულად ნერგავენ მოწინავე გამოცდილებას, ფართოდ იყენებენ პროგრესულ ხაშენ მასალებს.

გონივრულად მოწყობილმა შრომამ კარგი შედეგი გამოიღო. სამმართველოს კოლექტივმა წლიური გეგმის შესრულება სამშობლოს 20 ოქტომბრისათვის უპატაკა. განვლილ პერიოდში მშენებლებმა 3 მილიონ 650 ათასი მანეთის სამუშაოები შეასრულეს, გეგმა კი 3 მილიონ 290 ათას მანეთს ითვალისწინებდა. მშენებლებმა ჯადამდე გადასცეს საექსპლოატაციოდ ხანკაბინების დამამზადებელი წარმოება. ამჟამად № 2 სამშენებლო უბანი ლილოში აგებს ხამშენებლო კომბინატს, რომელიც მწყობრში ჩადგომის შემდეგ 200 ათას კვადრატულ მეტრ რკინაბეტონის ნაკეთობას გამოუშვებს. ამ საწარმოს პირველი რიგი უნდა დამთავრდეს 1975 წელს.

ᲝᲠᲘ ᲙᲕᲘᲠᲘᲗ ᲐᲓᲠᲔ

ᲐᲮᲐᲚᲘ შრომითი წარმატება მოიპოვა ჭიათურის მარგანეტრესტის ი. ბ. სტალინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა. ჩვენ 14 ნოემბრისათვის შეასრულეთ მაღალხარისხოვანი მარგანეცის დამზადების თერთმეტი თვის დავალება. სამშობლოს მივეცით 90.453 ტონა ძვირფასი კონცენტრატი. მარტო ათ თვეში დავალების გადამეტებით რეალიზებულია 163 ათასი მანეთის პროდუქცია, ხელგგმითმა მოგებამ 71 ათასი მანეთი შეადგინა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ჩვენი მაღაროს ყველა საწარმოო უბანი და ცვლა გადაჭარბებით ასრულებს დავალებებს. სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდშია პირველი საწარმოო უბნის კოლექტივი, რომელსაც ს. ლოლაძე უძღვება. ხუთწლედის შრომითს ვახტზე დგანან წარმოების ნოვატორები დ. შეყილაძე, შ. კაბანაძე, შ. მაჭარაშვილი, ზ. წერეთელი, ი. პაპიძე, ჯ. ბიწაძე, ს. ლეთოდიანი, ს. ცოცქირიძე.

მაღაროს კოლექტივი უტიერ ხუთწლედის ახალ ხელოვნებს, წლიურ გეგმას 10 დეკემბრისათვის შეასრულებთ.

— გვაცნობეს ამის შესახებ, მაღაროს დირექტორმა ა. მოვარაძემ, პარტბიუროს მდივანმა ვ. ხამხარაძემ, პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარემ ჯ. თამბაგარმა.

1974 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ

20 დეკ., რაც თავის შრომითს კალენდარში ახალი, 1974 წელი დაიწყო სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტროს „საკუთეკმრეწვის“ ტრესტის საქართველოს სპეციალიზებული სამმართველოს კოლექტივმა, რომელმაც ვადამდე შეასრულა წლიური გეგმა.

სამშენებლო სამმართველოს კოლექტივმა იკისრა ვალდებულება 1974 წლის ანგარიშში შეასრულოს 400 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები.

(საქინფორმი).

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲜᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ № 6 პროფტექნიკური სახწავლებლის კურსდამთავრებული დარიკო კუნუულია უკვე ხუთი წელია თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების უყარდის ფაბრიკაში მუშაობს. ამ წლების განმავლობაში იგი სრულყოფილად დაეუფლა პროფესიას.

მოწინავე მუშამ ხუთწლედის დამკვრელური წლის დავალებები რვა თვეში შეასრულა და ახლა მომავალი წლის ანგარიშში მუშაობს.

ახალგაზრდა კომუნისტი ფაბრიკის პარტიული ბიუროს წევრად აირჩიეს.

სურათზე: თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების უყარდის ფაბრიკის მოწინავე მქსოველი დარიკო კუნუულია.

Შ. ᲙᲐᲡᲠᲐᲫᲘᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საბჭოთა კავშირ-კანადის კომუნიკე

საბჭოთა შთავრობის მოწვევით 1973 წლის 18-24 ნოემბერს სსრ კავშირში ოფიციალური ვიზიტით იყო კანადის საგარეო საქმეთა მინისტრი მ. შარპი.

საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს მ. შარპი და მისი თანმხლები პირები, მოსკოვს გარდა, იყვნენ შავი ზღვის სანაპიროზე, კიევსა და ლენინგრადში. მათ ჰქონდათ შესაძლებლობა გაცნობოდნენ საბჭოთა ხალხის ცხოვრებას და მის მიღწევებს ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის დარგში. კანადის საგარეო საქმეთა მინისტრმა გვირგვინით შეაჯო უცნობი ჯარისკაცის საფლავები მოსკოვში, კიევში, აგრეთვე ლენინგრადის პისკარიოვის მემორიალურ სასაფლაოზე.

კანადის საგარეო საქმეთა მინისტრი მიიღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა.

გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოსა და კანადის საგარეო საქმეთა მინისტრის მ. შარპის საფუძვლიანი მოლაპარაკება საბჭოთა კავშირ-კანადის ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხებზე და ორივე მხარისათვის საინტერესო საერთაშორისო პრობლემებზე. მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ხ. პ. პოზირევი, სსრ კავშირის ელჩი კანადაში ა. ნ. იაკოვლევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ვ. ა. სუსლოვი და სხვა ოფიციალური პირები; კანადის მხრივ — კანადის ელჩი საბჭოთა კავშირში რ. ფორდი, კანადის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ჯ. ჰოლსტედი, კანადის საგარეო საქმეთა სამინისტროს ბიუროების გენერალური დირექტორები მ. პ. ბლეკი და ა. ს. მაპ

, აგრეთვე კანადის საგარეო საქმეთა სამინისტროს სხვა პასუხისმგებელი თანამშრომლები.

მოლაპარაკება მიმდინარეობდა გულახდილობის, გულიანადობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში, რაც ახასიათებს საბჭოთა კავშირისა და კანადის კეთილმეზობლურ ურთიერთობას.

მხარეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს საბჭოთა კავშირ-კანადის ურთიერთობის განვითარული კეთილთვისებები ამ ბოლო წლებში და ის დიდმნიშვნელოვანი იმპულსი, რომელიც მის განვითარებას მისცა 1971 წლის ხკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინისა და კანადის პრემიერ-მინისტრის პ. ე. ტრიუდოს ურთიერთვიზიტებმა. მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ 1971 წელს მიღწეულმა შეთანხმებებმა სსრ კავშირისა და კანადის ურთიერთობას საფუძველად დაუდეს მშვიდობიანი და ურთიერთსაწყისიანი თანამშრომლობის პრინციპებში და წარმოადგენენ მყარ კონსტრუქციულ ბაზას, რათა კიდევ უფრო ყოვლმხრივ განვითარდეს საბჭოთა კავშირ-კანადის ურთიერთობა პოლიტიკურ, სავაჭრო-ეკონომიურ, მეცნიერულ-ტექნიკურ დარგებში, აგრეთვე განათლებისა და კულტურის დარგში.

მხარეებმა განსაკუთრებით აღნიშნეს, რომ სასარგებლოა საბჭოთა კავშირ-კანადის 1971 წლის 19 მაისის ოქმი კონსულტაციების შესახებ. ხელმძღვანელობენ რა ამ ოქმის მიზნებით, მათ გამოთქვეს აზრი, რომ უფრო ფართოდ და რეგულარულად უნდა გამოიყენონ მისი შესაძლებლობანი, ურთიერთსაინტერესო დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო პრობლემებზე. და ორმხრივი ურთიერთობის საკითხებზე პოლიტიკური კონსულტაციების შემდგომი გაღრმავებისათვის.

მხარეებმა დაადასტურეს, რომ განზრახული აქვთ განახორციელონ შემდგომი ღონისძიებანი ნაცვლგებისა და ურთიერთსარგებლიანობის სულისკვეთებით, რათა ჯამდიდრონ ორი ქვეყნის არსებული შეთანხმებანი და გაფართოონ თანამშრომლობა სხვადასხვა დარგში.

კმაყოფილებით აღინიშნა, რომ სულ უფრო ფართოვდება ორი ქვეყნის სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეთა, სავაჭრო ორგანიზაციების, მეცნიერებისა და ტექნიკის, კულტურის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა და ტურისტთა კონტაქტები. ორივე მხარემ განაცხადა, რომ განზრახული აქვთ კიდევ უფრო გააღრმავონ ეს კონტაქტები.

ორივე მხარემ განიხილა პროგრესი, რომელსაც მიაღწიეს ეკონომიურ, მეცნიერულ-ტექნიკურ დარგში თანამშრომლობის გაფართოებისათვის ერთობლივ ღონისძიებებში, რაც ხორციელდება მრეწველობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა გამოყენებაში თანამშრომლობის შესახებ 1971 წლის 27 აგვისის შეთანხმების შესაბამისად. მხარეებმა გამოთქვეს აზრი, რომ იმ შეთანხმებების შესრულებას, რომლებსაც მიაღწიეს მიმდინარე წლის ოქტომბერში მოსკოვში ჩამართულ შერეული კომისიის მესამე სხვაობაზე, უახლოეს მომავალში მოყვება ორივე მხარისათვის სასარგებლო კონკრეტული ეკონომიური შედეგები. მხარეებს აგრეთვე მიაჩნიათ, რომ არსებობს სსრ კავშირისა და კანადის ურთიერთსასარგებლო ვაჭრობის შემდგომი გაფართოების შესაძლებლობანი.

ორივე მხარემ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ორ ქვეყანას შორის გაცვლების შესახებ დადებული საერთო შეთანხმების შედეგად გაიზარდა და განვითარდა გაცვლა და თანამშრომლობა სამეცნიერო, კულტურულ და სხვა დარგებში. მათ ჯამთქვეს იმედი, რომ დადებითი შედეგები ექნება ამ შეთანხმების შესაბამისად შექმნილი შერეული კომისიის მუშაობას, რომლის მეორე სესია მიმდინარე წლის დეკემბერში უნდა გაიმართოს ოტავაში, რათა შეიმუშავოს გაცვლის 1974-1975 წლების შეთანხმებული პროგრამა. ორივე მხარემ დაადასტურა, რომ არქეიკის რაიონებს დიდი მნიშვნელობა აქვთ როგორც სსრ კავშირისათვის, ისე კანადისათვის, და შეთანხმდა, რომ არსებობს ამ დარგში უფრთიერთდაინტერესების საფუძველზე უფრო ფართო თანამშრომლობის შესაძლებლობანი.

მხარეებმა გამოთქვეს იმედი, რომ წარმატებით დამთავრდება მოლაპარაკება სსრ კავშირსა და კანადას შორის საზღვაო ნაოსნობის შეთანხმების დადების თაობაზე.

საერთაშორისო პრობლემებზე აზრთა გაზიარების დროს მინისტრებმა გამოთქვეს რწმენა, რომ თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობის განვითარების განმსაზღვრელი ტენდენციაა დაძაბულობის შენელების პროცესი, რომელიც სულ უფრო ღრმავდება. სახელმწიფოთა უშიშროებისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის განმტკიცება. მათ გამოთქვეს სსრ კავშირისა და კანადის მთავრობათა განზრახვა ყოველი ღონისძიებით უწყობდნენ ხელს ამ ტენდენციის დაკვიდრებას მყარი და სამუდამო მშვიდობის უზრუნველყოფის მიზნით.

ორივე მხარე დათანხმდა, რომ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის პირველმა ეტაპმა, რომელიც ჰელსინკში გაიმართა, კარგი საფუძველი შეუქმნა მოლაპარაკების მეორე ეტაპს, რომელიც ახლა ჟენევაში გრძელდება. მხარეები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ამ მოლაპარაკებას და საჭიროდ მიაჩნიათ მისი განხრძობა კონსტრუქციული სულისკვეთებით და საქმიანად. მხარეებმა დაადასტურეს, რომ სსრ კავშირი და კანადა მზად არიან ხელი შეუწყონ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის წარმატებით დამთავრებას. რაი შეიძლება მოკლე ვადაში და გამოთქვეს სურვილი, რომ თათბირის გადაწყვეტილებანი შეესაბამებოდნენ ევროპის მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების, ხალხთა თანაშრომლობისა და ურთიერთობის განვითარების ამოცანას. მათ მიაჩნიათ, რომ თათბირის მეორე ეტაპის წარმატებით დამთავრება შექმნის შესაძლებლობას, რომ გაიმართოს მისი მესამე ეტაპი უმაღლეს დონეზე.

ორივე მხარემ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 30 ოქტომბერს ვენაში დაიწყო მოლაპარაკება ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირების და ამასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესახებ. ისინი დათანხმდნენ, რომ ეს მოლაპარაკება ევროპაში დაძაბულობის შენელებისა და თანამშრომლობის გაფართოების მიმდინარე პროცესის დიდმნიშვნელოვანი ელემენტია. მათი აზრით, ამ მოლაპარაკებაზე ურთიერთმისაღებ ადგილზე ადგენილთა მიღების აუცილებელი პირობა უნდა გახდეს რომელიმე მხარის უშიშროებისათვის ზიანის მიუყენებლობის პრინციპის უსუსტად დაცვა.

ორივე მხარემ დაადასტურა, რომ მხარს უჭერს მკაცარ და ყოვლმხრივ საერთაშორისო კონტროლს დაკვირვებულ საყოველთაო და სრულ განიარაღებას, რომელიც მოიცავს როგორც ატომურ, ისე ჩვეულებრივ იარაღს. მათ საჭიროდ მიაჩნიათ, რომ განხორციელდეს შემდგომი პრაქტიკული ღონისძიებანი გამაბიერული შეიარაღების შეწყვეტისა და განიარაღების მიღწევისათვის. განსაკუთრებით, როცა ეს ეხება მასობრივი მოსპობის იარაღს — ატომურ, ბაქტერიოლოგიურ და ქიმიურ იარაღს. ამ მხრივ დიდმნიშვნელოვანი მიღწევა იყო ხელშეკრულება ატომურ-ფრონში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ ატომური იარაღის გამოცდების აკრძალვის შესახებ. ხელშეკრულება ატომური იარაღის გავრცელებლობის შესახებ, კონვენცია ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) და ტოქსიკური იარაღის შექმნის, წარმოებისა და მისი მარაგის დაგროვების აკრძალვისა და მისი მოსპობის შესახებ. საბჭოთა კავშირი და კანადა საგანგებო უპირველ მხარს ღონისძიებებს, რომლებსაც ახორციელებს განიარაღების კომიტეტი, რათა რაც შეიძლება მალე დადოს შეთანხმებანი ქიმიური იარაღის შექმნის, წარმოებისა და მისი მარაგის დაგროვების აკრძალვის და მისი მოსპობის შესახებ. ორივე მხარეს განზრახული აქვს კიდევაც ხელი შეუწყოს განიარაღების სხვა ნაწილობრივ ღონისძიებათა განხორციელებას. მხარეები დათანხმდნენ, რომ შესაბამის დროს განიარაღების მსოფლიო კონფერენციის მოწვევა სასარგებლო იქნებოდა განიარაღების პრობლემათა მთელი კომპლექსის განხილვისათვის.

მოლაპარაკების დროს მოხდა აზრთა კონსტრუქციული გაზიარება იმ წინადადების შესახებ, რომელიც საბჭოთა კავშირმა შეიტანა ევროპაში ურთიერთანებული ერების ორგანიზაციის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელმწიფოთა სამხედრო ბიუჯეტების 10 პროცენტით შემცირებისა და დაზოგილი სახსრების ნაწილის განვითარებადი ქვეყნების დასახმარებლად გამოყენების შესახებ.

ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის განხილვისას მხარეებმა კმაყოფილება გამოთქვეს ამ რაიონში იერიხონის და საამარი მოქმედების შეწყვეტის გამო. მინისტრებმა განაცხადეს, რომ სსრ კავშირსა და კანადას მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი სხვა ქვეყნებთან ერთად ხელი შეუწყონ ახლო აღმოსავლეთში მაცარი და სამართლიანი მშვიდობის აღდგენას ამ საფუძველზე, რომ კონფლიქტის მონაწილე ყველა მხარემ დაუფლებლივ და თანმიმდევრულად შეასრულოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებანი, სახელდობრ: 1967 წლის 22 ნოემბრის №242 რეზოლუცია, 1973 წლის ოქტომბრის № 338, № 339 და № 340 რეზოლუციები. ორივე მხარეს მიაჩნია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო შეიარაღებული ძალები, რომელიც ახლო აღმოსავლეთში გადაუდგენლ უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით და მისი ხელმძღვანელობით მოქმედებენ, ხელს უნდა უწყობდნენ ამ რაიონში ვითარების ნორმალიზაციას, როგორც ამას მოითხოვენ უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებანი.

მხარეებმა განაცხადეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ხელი შეუწყონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეფექტიანობის ეაძლიერებას. ორივე მხარეს აზრთა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციმ თავისი ძირითადი მოვალეობანი უნდა წარმართოს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, სახელმწიფოთა ნაყოფიერი თანამშრომლობის განვითარებისათვის.

მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი საზღვაო სამართლის საკითხებზე მომავალი საერთაშორისო კონფერენციის შესახებ და განაცხადეს, რომ პრობლემები, რომლებსაც ეს კონფერენცია განიხილავს, უნდა მოწესრიგდეს საერთაშორისო საფუძველზე ყველა სახელმწიფოს ინტერესების გათვალისწინებით.

სსრ კავშირი და კანადა ხელმძღვანელობენ იმით, რომ ორი ქვეყნის მეზობლობისა. და თანამშრომლობის განვითარება შეესაბამება საბჭოთა და კანადელი ხალხების ინტერესებს და მნიშვნელოვანი წვლილია საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებაში.

მოლაპარაკების დასასრულს კანადის საგარეო საქმეთა მინისტრმა მ. შარპმა კმაყოფილება გამოთქვა და მადლობა გადაიხადა ბიუროებისა მასპინძლობისათვის, რომელიც მას საბჭოთა კავშირში ეგულება. და სთხოვა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ა. გრომიკოს ეწვიოს კანადას ორივე მხარისათვის მოსახერხებელ დროს. ა. ა. გრომიკომ კმაყოფილებით დათანხმდა ამ მიწვევას.

მ. შარპი სსრ კავშირიდან გ. კ. ე. მ. ზ. კ. ვ. რ. ა

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ, 24 ნოემბერი. (საკდესი). დამთავრდა კანადის საგარეო საქმეთა მინისტრის მიტჩელ შარპის ოფიციალური ვიზიტი საბჭოთა კავშირში, სადაც იგი საბჭოთა მთავრობის მოწვევით ჩამოვიდა.

დღეს მიტჩელ შარპი ლენინგრადიდან პარიზს გაემგზავრა. წასვლამდე იგი იყო პულკოვოს მაღლობზე, სადაც მეორე მსოფლიო ომის დროს შეაჩერეს ჰიტლერელთა ჯარები, რომლებიც ნევის ქალაქისკენ აწევდნენ.

გვინეა-ბისაუს რესპუბლიკის დელეგაცია საქართველოში გაემგზავრა

24 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრა გვინეა-ბისაუს რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაცია რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის, გვინეისა და მწვანე ენაცის კონფლიქტის დამოუკიდებლობის ბრძოლის ეროვნული პარტიის გენერალური მდივნის მოადგილის **ლუის ბარალის** მეთაურობით, რომელიც ოფიციალური ვიზიტით იყო საბჭოთა კავშირში.

შერეულიტიკის ეორდრომზე დელეგაციის გასაცილებლად მოვიდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ბ. ერუთინიანი,** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. ვ. ვეორგაძე,** სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე **ლ. თ. ილიჩოვი.** (საკდესი).

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲦᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲣᲦᲚᲝᲡᲐᲨᲘ

ᲘᲒᲖᲐᲕᲜᲔᲑᲐ ᲥᲝᲚᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲛᲒᲐᲪᲘᲪᲔᲑᲐ და ღრმავდება სსრ კავშირისა და ინდოეთის მეგობრობა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა თანამეგობრობის კიდევ ერთი ფორმა — სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის გაცვლა, რომელსაც ახორციელებს სბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკა — მას შეუმატა ახალი მეტრი ჟურნალი და წიგნი.

მიღებული ლიტერატურა თარგმნეს არ რჩება. მას ინტენსიურად იყენებენ ორივე ქვეყანაში.

ამისათვის, რომ გაეცნო ინდოეთის სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურას, ბუკინლებილი არ არის მოსკოვში ჩასვლა: ბიბლიოთეკა აბონენტით აგზავნის წიგნებსა თუ ჟურნალებს ქვეყნის ყველა რაიონში.

(საკდესის კორ.).

ᲥᲚᲔᲠᲡ ᲘᲜᲓᲣᲠᲘ ᲛᲔᲚᲝᲓᲘᲔᲑᲘ

ᲗᲐᲨᲙᲔᲜᲢᲘ, 24 ნოემბერი. (საკდესის კორ.). აქ პირველად ახალ სეზონში შესრულდა უზბეკი კომპოზიტორის იკრამ აბკაროვის სიმფონიური სურათები „ფოსტა“ რაბინდრანატ თაგორის ამავე სახელწოდების ნაწარმოების თემაზე. ნაწარმოები ცხრა ნაწილისაგან შედგება და მასში გამოყენებულია თაგორის მელოდიები და ინდური ხალხური ჰანგები.

ინდოეთი, მისი კულტურა, ბუნება, ხალხი არაერთხელ ყოფილა უზბეკი კომპოზიტორების თაგორისადმი სარგებლობს ტაშკენტელი კომპოზიტორის ალექსი კოზლოვსკის „ინდური პოემა“, ინდური ლეგენდის მოტივებზე დაწერილ მუტხარ აშრაფის ბალეტს „სიყვარულის ამულეტს“ ჯ. ნერუს სახელობის პრემია მიენიჭა.

ᲢᲠᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲒᲝᲚᲘᲐᲗᲘ

„Კ-701“ ᲛᲐᲠᲙᲘᲡ ᲢᲠᲐᲥᲢᲝᲠᲘ — ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ!

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ, (საკდესის კორ.). სმოლნაში ლენინგრადის პარტიული ორგანიზაციის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე განიხილეს „კ-701“ მარკის ტრაქტორების სერიული წარმოებისა და მათი გამოშვების გადიდების უზრუნველყოფის ამოცანები.

მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **გ. ვ. რომანოვმა.**

„კ-701“ მარკის 300 ცხენის-ძალიანმა ტრაქტორმა ამას წინათ წარმატებით გაიარა სახელმწიფო გამოცდა. მისი მწარმოებლობა სხვადასხვა ოპერაციის დროს „კიროვეცის“ მარკის სერიულ ტრაქტორთან შედარებით 25-40 პროცენტით გაიზარდა. ახალ მოდელის უნიფიცირებულმა კონსტრუქციამ შესაძლებელი გახადა შექმნილიყო ტრაქტორების მთელი ოჯახი, რომლებიც შეიძლება გამოიყენონ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში. ახლა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს „კ-701“ მარკის ტრაქტორის სერიული წარმოებისათვის მზადება.

კრებაზე განიხილეს კიროვის ქარხანაში წარმოების რეკონსტრუქციისა და ახალ სიმძლავრეთა ათვისების, ახალი მოდელის ტრაქტორის სათადარიგო ნაწილების სანიმუშო წარმოების შექმნის ტემპის დაჩქარების გზები. განსაზღვრულია კონსტრუქტორთა და მეცნიერთა ამოცანები ამ მანქანის პარამეტრების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲙᲝᲡ-ᲐᲒᲠᲐᲠᲘᲙᲝᲡᲗᲐ ᲓᲘᲓᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ

ᲛᲝᲡᲙᲕᲐ. (საკდესი). ისტორიკოსმა-აგრარიკოსებმა განიხილეს განვითარებული სოციალისტური საზოგადოების შექმნისა და კომუნიზმის მშენებლობის პირობებში საბჭოთა სოფლის სოციალურ-ეკონომიური განვითარების ძირითადი პრობლემები. ამ საკითხებს მიეძღვნა სრულიად საკავშირო სამეცნიერო კონფერენცია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სსრ კავშირის ისტორიის ინსტიტუტში, რომელმაც ახლახან დაამთავრა მუშაობა.

კონფერენციამ შეაჯამა ამ მეცნიერთა მუშაობის შედეგები, რომლებიც ეკვლევენ ომისშემდგომი სოფლისა და ინდუსტრიის ურთიერთობის ეტაპებს, ინდუსტრიული-ტექნიკურ რეკონსტრუქციასთან და სოფლის ეხლოვრებაზე მის გავლენასთან. აღინიშნა აგრეთვე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მოეწყოს თანამედროვე სოფლის საკითხთა კომპლექსური გამოკვლევები ისტორიკოსთა, ეკონომისტთა, ფილოსოფოსთა და ეთნოგრაფთა ერთობლივი მეცნიერებით.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲓᲦᲔᲡ

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲐᲥᲢᲘᲕᲗᲐᲜ

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ, 24 ნოემბერი. (საკდესი). პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. გიერეკი შეხვდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის პირველ მდივანს ბ. ბიერუტს. ეს ბოლო ჩამოვიდა ბულგარეთიდან, სადაც ოფიციალურ ვიზიტზე იმყოფებოდა.

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲙᲐᲜᲐᲓᲘᲡᲐᲨᲘ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 24 ნოემბერი. (საკდესი). კანადის ეროვნული ბანკის ეროვნული ფინანსური ინსტიტუტის ანალიზებმა ეჭვქვეშ დააყენეს ბრეტონ-ვუდსის ინფლაციური სისტემა. ეკონომისტთა ანალიზებმა ეჭვქვეშ დააყენეს ბრეტონ-ვუდსის ინფლაციური სისტემა. ეკონომისტთა ანალიზებმა ეჭვქვეშ დააყენეს ბრეტონ-ვუდსის ინფლაციური სისტემა. ეკონომისტთა ანალიზებმა ეჭვქვეშ დააყენეს ბრეტონ-ვუდსის ინფლაციური სისტემა.

ᲛᲘᲔᲡᲐᲯᲐᲗ ᲞᲐᲢᲘᲛᲠᲝᲑᲐ

**რომი, 24 ნოემბერი. (საკდესი). იტალიის შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაცხადა ნეოფაშის

რაცხა ალარ აირჩიეს მდივნად მ. რაზმაძე

ქარალეთის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის პარტიული ორგანიზაციის კრება საქმაოზე მეტ ხანს გაგრძელდა. თერმეტი კომუნისტი გამოვიდა სიტყვით, ბევრმა მათგანმა რეგლამენტი დაარღვია, ამან კრება გააჭიანურა.

თავიდანვე უნდა ვთქვათ, კრების ასეთ მსვლელობას ამან შეიწყო ხელი, რომ პარტიული კომიტეტის მდივანს მ. რაზმაძის ერთსაათიან მოხსენებაში (მოუხვდავად იმისა, რომ თვითონ დაასკვნა კრიტიკული იყო ნება გამოსვლა(!)) საქმიანი ანალიზი არ ჰქონდა გაკეთებული პარტიული კომიტეტის საქმეზე ბიუროდ. მოხსენებაში ცოტა იყო ნათქვამი იმაზე, თუ რა გავიდა მეურნეობის კომუნისტთა აქტივობის პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დონის ასამაღლებლად. არც იმაზე ითქვა რამე, თუ პარტიული კომიტეტი როგორ ეხმარებოდა მეურნეობის დირექციას საქმეურნეო საქმიანობის წინსვლაში და არც იმაზე, თუ როგორ აბორიკელებდა იგი ხალხ წესდებით მინიჭებულ კონტროლის უფლებას. უფლებული მოხსენება ფაქთ პარტიული კომიტეტის უფლებული მუშაობის ზუსტი ანარეკლი იყო. ამიტომაც კომუნისტებმა პარტიულ კომიტეტის მუშაობა საანგარიშო პერიოდში არადამაკმაყოფილებლად შეაფასეს.

კომუნისტების ასეთი შეფასება პირველ ეტაპზე ეს სწორი იყო. უკანასკნელ ხანს მეურნეობაში შექმნილ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა შეიქმნა. არა მარტო უპარტიოები, არამედ ზოგიერთი კომუნისტიც ხშირად აროვებდა შრომის დისციპლინას. ისინი ყოველ-ბრივ შრომას, საკარმიდამო ნაკვეთებს კი თვალსინინეთით უყურებდნენ და ხელის მაღალ მოსავალს ოცნებდნენ. მეურნეობა ვიღას ახოვდა! აქ წლითიწლობით მცირდებოდა ხელის (განსაკუთრებით კი თესლოვანი ხელის) მოსავლიანობა. სწორედ ამიტომ იყო, რომ მეკხრე ხუთწლედის უკანა თითქმის განვლილ სამ წელიწადში ნაკლებად 6.228 ტონისა, აწარმოეს მხოლოდ 4.320 ტონა თესლოვანი და კურკოვანი ხელი.

მოხსენებელმა ვერ თქვა, რატომ იყო მეურნეობაში მოუწესრიგებელი შრომის ორგანიზაცია და დისციპლინა. მან კრებაზე რიხიანად ილაპარაკა კომუნისტ ზ. გურგენიშვილზე, რომელიც სამუშაოს გულს ვერ უდებს, უსაქმურობს. კომუნისტმა ვახტანგ ბაზაღაშვილმა კი, რომელიც თურმე „ყოველთვის მოწმინავეა", მეტად „დაუფიქრებელი ნაბიჯი გადადგა"—მეურნეობის ბოსტნიდან მოპარა ხუთინახევარი კილოგრამი პომიდორი. მას სასტიკი საყვედური გამოუცხადეს.

აქ ითქა განსჯას არ შეიტყვეთ, ლმობიერად თუ მკაცრი ეს სასჯელი, მაგრამ რატომ მოხდა თვით ასეთი სამუშაო ფაქტი? ამიტომ ხომ არა, რომ პარტიული კომიტეტის მდივანი თვალს ხუჭავდა უფრო დიდ დანაშაულზე, რომელიც მეურნეობის ხელმძღვანელთა წაყოლებით ხდებოდა ხელის დაშაზეების პუნქტში. აქ 3,5 კილოგრამად ხის ყუთებს ხუთ კილოგრამად ტარად ასაღებდნენ და ამ გზით ოც ტონამდე ვაშლი თავიანთთვის „შემოინახეს". პარტიული კომიტეტისათვის, მისი მდივნისათვის ეგნა ეს ყოველივე უცნობი იყო? არა ეგონა. როგორც ვხედავთ, კარალეთის მეურნეობაში „ხალხის" ქურდები (დირექტორი მ. ჯაშაშვილი და დამზადების პუნქტის ყოფილი გამგე ვ. ლოლიჯაშვილი) ვერ შენიშნეს და თუ შეიძლება ასე ითქვას „ნემსის" ქურდი კი სასტიკი საყვედურით დასაჯეს.

...და როცა კომათში პირველად პირველი აგრონომნის ფერხული ი. ჭალიძე გამოვიდა, ყველას ეგონა რომ ეხი სიმართლეს იტყოდა. მან თავიდან კარგად დაიწყო — აგრონომნის ხეხილის ბაღებში მოსავლიანობა იმიტომ შემცირდა, რომ ნარგავებს აგრონომების ზუსტად დაცვით ვერ უვლიდნენ. სამეხვერეს გამო 10 ჰექტარიდან ბაღში მხოლოდ 4 ჰექტარი ხეხილია. მართალია მაწი მუშადგება, სამუშაოები ტარდება, შრომა და ფული ეხარჯება, მოსავალი კი ძალზე მცირეს იღებენ. შემდეგ როცა მას კრების მონაწილეები შეეკითხენ ხილის გადამალვის შესახებ, დაიბნა, და, თითქოს არაფერი სეოდნოდეს, დანაშაულს ხელშემწყობთა ვინაობის მიჩქმალვას შეეცადა.

მეოთხე აგრონომნის მეთერთმეტე ბრიგადის ბრიგადირმა კომუნისტმა ი. ჩუხრუკაძემ მეურნეობის ხელმძღვანელობა და პარტიული კომიტეტის მდივანი ბევრ რამეში ამხილა, მაგრამ „ხილისა და ყუთის" აწონ-დაწონის ფაქტს ნათელი ვერ მოჰფინა.

საქართველოს კპ გორის რაიკომის პირველი მდივნის ს. პატაშვილის გამოსვლა სწორედ რომ დროული იყო. მან ამხილა მეურნეობის დირექციისა (დირექტორი მ. ჯაშაშვილი) და პარტიული კომიტეტის (მდივანი მ. რაზმაძე) შეუთანხმებელი მუშაობა, რაც საანგარიშო პერიოდს მეტ ლაქად დაანჩდა. მან ილაპარაკა კომუნისტების მაორგანიზებელ როლზე, შრომელთა მორალურ თვისებებზე. ბევრი ახალგაზრდა, თქვა მან, როცა მეურნეობის ბაღებში ბიხურებელი მუშაობაა, მუშახელი არ ყოფნით, სოფლის ქვენტრში ეჩქმალ დასა და ლაზანდარობს. განა ეს ფაქტი უცხო იყო პარტიული კომიტეტისათვის, მაგრამ მათ ახალგაზრდების საქმეო ნაწილი საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში ვერ ჩააბეს. საამისო უნარი ვერ გამოიჩინეს. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ მეოთითეებს იმაზე, რომ ოთხ ხელმძღვანელი ავტორიტეტს კარგავს, სახელი უტყდება მას და კომუნისტები სამართლიანად ეწინააღმდეგებიან.

კარალეთელ კომუნისტთა კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღო და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის წევრმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ა. ინანურმა.

ვ. გოზალიშვილი,
რ. ბასილაშვილი,
გორის რაიონი.

წყვეტს კრება

მიწერ-მოწერა მკითხველებთან

თორმეტ კომუნისტს შორის, რომლებიც საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე ჩაეწერნენ პარტკრებაზე ჩაეწერნენ კამათში გამოსასვლელად, ვიუავი მეც. მაგრამ სიტყვა მისცეს მხოლოდ ცხრას. შემდეგ შეტანილ იქნა წინადადება „წერტილი დაესვათ", დაემთავრებინათ კამათი. სამს, მათ შორის მეც, სიტყვა არ მოგვცეს. ეს პარტიული დემოკრატიის უხეშ დარღვევად მიმაჩნია.

ნ. ივანოვი.
სკკპ წევრი.
ქ. ტალინი.

პატივცემულო ამხანაგო ივანოვ!

რასაკვირველია, ვითარება პარტიულ კრებაზე ხელს უნდა უწყობდეს აზრთა ფართო გაცვლა-გამოცვლას, ამა თუ იმ საკითხის ყველა ასპექტის, ყველა მხარის გამორკვევას. რაც უფრო მეტი კომუნისტი მიიღებს აქტიურ მონაწილეობას მოხსენების განხილვაში, გადაწყვეტილების გამომუშავებაში, მით უფრო სრულად და ღრმად ასახავს იგი კოლექტივის წინაშე მდგომ ამოცანებს.

ყველაფერი ეს კამათის დაუსრულებლობის როდი ნიშნავს. პარტიული კრების მუშაობა ნიმუშია უნდა იყოს საქმიანობისა, სიზუსტისა, ორგანიზებულობისა. რომელიღაც ეტაპზე ირკვევა უმრავლესობის აზრი. ცხადი ხდება, რომ შემდგომი გამოსვლები ირაფერს ან თითქმის არაფერს ახალს არ დაუმატებენ საქმის არსს, არამედ მხოლოდ გაიკაინურებენ ლაპარაკს. მაშინ პრეზიდიუმს ან კრების სხვა მონაწილეებს შეუძლიათ დააყენონ საკითხი კამათის შეწყვეტის შესახებ. გადაწყვეტილების მიღება ხდება ხმების უმრავლესობით.

პრაქტიკაში შესაძლოა ასეთი ვარიანტიც. სამოლოო „წერტილის დასმამდე" კრება წყვეტს, მისცეს სიტყვა კიდევ ერთ ან რამდენიმე ორატორს. კრებაში მონაწილეობისათვის ჩაწერილთა რიგითობის წესით? სავალდებულო არ არის. კომუნისტებს შეუძლია უპირატესობა მისცენ, მაგალითად, იმ ამხანაგს, რომელიც პასუხისმგებელია კომკავშირული მუშაობის მდგომარეობისათვის, ან რომელმეს სხვას, თუ ბიუროს, კომიტეტის საქმიანობის უფრო სრული სურათის გამოსარკვევად საჭიროა კრებამ უფრო დაწვრილებით იცოდეს რა მდგომარეობაა მოცემულ კოსკრეტულ უბანზე.

თქვენ, ამხ. ივანოვ, შესაძლებლობა არ მოგცეს სიტყვით გამოსულიყავით. თუ ასე გადაწყვეტა თვით კრებამ, აქ არ არის პარტიული დემოკრატიის დარღვევა. სხვა საქმეა — კომუნისტები ზუსტად უნდა ადევნებდნენ თვალს, რომ კამათის დამთავრება გამოვლენებულ არ იქნას კრიტიკის ჩახშობის მიზნით, როგორც „ორასსურველი ორატორისაგან" თავის დაწყვეტის საშუალება.

განსახილველ საკითხზე და კრების მსვლელობაზე თავისი შეხედულებანი, ისევეთვე წინადადებანი, რჩევები სკკპ წევრს შეუძლია გადასცეს პრეზიდიუმს. ბიუროთ ან კომიტეტი მოვალე არიან განიხილონ და გაითვალისწინონ ისინი.

პასუხისმგებლობა პერსონალურ ინიციატივასა და უნდა იყოს

ოფიციალური განცხადება

სხვაურის შემცირების ღონისძიებათა შესახებ

სსრ კავშირის მთავრობამ მიიღო დადგენილება ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების სამრეწველო საწარმოებში ხმაურის შემცირების ღონისძიებათა შესახებ.

დადგენილებით დასახულია ღონისძიებანი, რომ დაენერგოთ ნაკლებხმაურიანი ტექნოლოგიური პროცესები, გამოვიყენოთ საკირიოების შეთხვევებში ავტომატური და დისტანციური მართვის საშუალებანი, რომლებიც გამრიცხავენ მუშაკთა კონტაქტს ინტენსიური ხმაურის გამომწვევ მოწყობილობასთან. გათვალისწინებულია აგრეთვე უხრუხველყოფა ქუჩის საფარების, ტრამვაის გზების, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებების, ტექნოლოგიური მოწყობილობისა და ინვენტარის ინსტრუმენტის ისეთ მდგომარეობაში შენახვა, რომელიც ამ გამოიწვევს გაძლიერებულ ხმაურს. ამათ ექსპლოატაციისას. გადაწყდა მნიშვნელოვანად შემცირდეს (საკირიოების შემთხვევაში კი მთლიანად აიკრძალოს) ქალაქის ეზოებში, ქუჩებში და მოედნებზე ღამით ისეთ სამუშაოთა წარმოება, რომელთა ხმაური სანიტარულ ნორმებს აღემატება.

შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს დაევალათ განახორციელონ 1973-1975 წლებში ღონისძიებანი, რათა შემცირდეს ტექნოლოგიური მოწყობილობის, სხვადასხვა სახეობათა ტრანსპორტის ხმაურავი შემადგენლობის, მანქანების, ინსტრუმენტისა და ულტრაბგერული დანადგარების ხმაურის დონე.

გზათა სამინისტრომ, საზღვაო ფლოტის სამინისტრომ, რუსეთის სფსრ სამინისარო ფლოტის სამინისტრომ, აგრეთვე სხვა სამინისტროებმა და უწყებებმა, რომელთა საწარმოებს აქვთ მისასვლელი გზები და ნავმისადგომები, უნდა შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი საცხოვრებელი განაშენიანების რაიონებში სარკინიგზო, საზღვაო და სამდინარო ტრანსპორტის მანქანების მექანიზმებისა და მოწყობილობის ხმაურის შესამცირებლად, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ღამით ხმაურის შემცირებას.

სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს დაევალა შეიმუშაოს პროექტი სახელმწიფო სტანდარტისა, რომელიც არეგულირებს აეროდრომებისა და აეროპორტების მახლობლად მდებარე საცხოვრებელი განაშენიანების რაიონებში მფრინავი აპარატებით გამოწვეული ხმაურის დასაშვებ დონეს.

დასახულია აგრეთვე ღონისძიებანი, რათა გაიზარდოს ხმაურსაიზოლაციო, ხმაურშთანმთქმელი მასალებისა და მაღალეფექტიანი ვიბრაციის შთანთქმელი მასტიკების წარმოების მოცულობა.

ქმიური მრეწველობის სამინისტრომ უნდა მოაწყოს, 1974 წლიდან მოყოლებული, სინთეზური მასალის სადებების წარმოება ხმაურისაგან ადამიანთა ინდივიდუალური დაცვისათვის.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტს დაევალა გააძლიეროს სახელმწიფო ზედამხედველობა ამისადმი, თუ როგორ ინერგება და სრულდება სტანდარტები და ტექნიკური მოთხოვნები ხერხულად გამომუშავებულ და ათვისების პროცესში მყოფ ნაკეთობებზე, რომლებიც ხმაურის ზღვრულ დონეს არეგულამენტებენ.

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრო მოვალეა უზრუნველყოს ზედამხედველობა ავტომატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მდგომარეობისადმი, რათა მათ მიერ მუშაობის დროს გამოწვეული ხმაურის ღონე დაწესებულ ნორმებს შეესაბამებოდეს. სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ უნდა გააძლიეროს სანიტარიული ზედამხედველობა ამისადმი, თუ როგორ ამუშავებენ და აბორიკელებენ სამინისტროები, უწყებანი და სხვა ორგანიზაციები ღონისძიებებს საწარმოებში, ქალაქებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში ხმაურის შესამცირებლად.

(სპუტნიკი).

„საქართველოს კომუნისტი" № 11

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის" მორიგი, მეთერთმეტე ნომერი.

ჟურნალი იხსნება ბოზინაკი ზ ერილი — პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა ძმობის დროშით; აქვეა გამოქვეყნებული დ. კაკაბაძის წერილი — „იდეოლოგიური მუშაობა და სოციალისტური შეჯიბრების წარმატება.

